



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო  
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/4688  
14/06/2019

4688-09-2-201906141758



„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და  
განვითარების ცენტრი“-ს პროგრამის კოორდინატორს  
ბატონ ვახტანგ კობალაძეს  
მის: თბილისი 0177, დელისის I შესახვევი 5 ა.

ბატონო ვახტანგ,

სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“-მ განიხილა თქვენი 2019 წლის 31 მაისის №3-341 წერილი, შპს „ფრესკო შოპინგ ცენტრში“ შეძენილი სურსათის ეტიკეტირების შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, თბილისის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილი პირების მიერ 2019 წლის 4 ივნისს განხორციელდა შ.პ.ს. „ფრესკო შოპინგ ცენტრი“-ს (ს/კ 406092570) სახელმწიფო კონტროლი. მაღაზია-მარკეტის შემოწმებისას, დახლ-მაცივრებსა და საწყობში არ აღმოჩნდა წერილში აღნიშნული სურსათი, თუმცა მიკვლევადობით დადგინდა, რომ სურსათის „იმერული სახაჭაპურე, რძის შემცველი პროდუქტი მცენარეული ცხიმით“ მომწოდებელი არის შ.პ.ს „შირაქი“ (ს/კ 428518678, მის: თბილისი, სამგორის №6).

2019 წლის 6 ივნისს თბილისის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილი პირების მიერ სახელმწიფო კონტროლი განხორციელდა შპს „შირაქი“-ს რძისა და რძის პროდუქტების საწარმოში (თბილისი, სამგორის №6). აღნიშნულ ობიექტში შემოწმებულ იქნა არსებული ჰიგიენურ/სანიტარული მდგომარეობა, ნედლეულისა და მზა სურსათის ვარგისიანობის ვადები, სურსათის ეტიკეტირება და პროდუქციის შენახვის პირობები. შემოწმებისას გამოვლენილი კრიტიკული შეუსაბამობების გამო „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“-ს, მუხლი 68, მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა 1000 (ათასი) ლარით და შეუჩერდა საწარმოო პროცესი, კრიტიკული შეუსაბამობების აღმოფხვრამდე.

ბიზნესოპერატორს ასევე მიეცა მითითება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად უზრუნველყოს სურსათის ეტიკეტირება.

პატივისცემით,

ზურაბ ჩეკურაშვილი



სააგენტოს უფროსი

